დანართი №2

პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის დამატების შესახებ ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნა

სსიპ კოლეჯი „გლდანის პროფესიული მომზადების ცენტრი“

პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამა - „გათბობის, ჰაერის კონდიციერებისა და სამაცივრო სისტემების მომსახურება

ექსპერტთა ჯგუფის წევრები
თავმჯდომარე: ზაირა ბერიძე
წევრი:
საბა მოდებაძე

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრის ხელმოწერა:

ნაწილი I. შესავალი

I. ინფორმაცია დაწესებულების შესახებ

დაწესებულების სახელწოდება: **სსიპ - კოლეჯი „გლდანის პროფესიული მომზადების ცენტრი“**

ორგანიზაციულ-სამართლებრივი ფორმა: **საჯარო სამართლის იურიდიული პირი**

საიდენტიფიკაციო კოდი: **200279448**

სახე:

☐ უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულება

☐ ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულება

■ პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულება / კოლეჯი

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრის ხელმოწერა:

II. ვიზიტის საერთო მიმოხილვა

სსიპ განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის დირექტორის მოვალეობის შემსრულებლის 11/07/2025 N858793 ბრძანების საფუძველზე, მ/წ 23 ივლის, სსიპ კოლეჯს „გლდანის პროფესიული მომზადების ცენტრი“, მისამართზე ქ. თბილისი, ი.ვეკუას ქ. N44, ეწვია ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფი. ვიზიტის მიზანს წარმოადგენდა პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის ჩარჩო დოკუმენტის საფუძველზე შექმნილი საგანმანათლებლო პროგრამის ***„გათბობის, ჰაერის კონდიცირებისა და სამაცივრო სისტემების მომსახურება”*** პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2010 წლის 1ოქტომბრის No99/ნ ბრძანებით დამტკიცებული „საგანმანათლებლო დაწესებულების ავტორიზაციის დებულების“ 31-ე მუხლის, მე-2 პუნქტის ბ) ქვეპუნქტით განსაზღვრული სტანდარტის შესაბამისობის შემოწმება.

ვიზიტის დაწყებამდე, ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფმა განიხილა დაწესებულების მიერ წარმოდგენილი მასალა და შეიმუშავა დღის წესრიგი. დღის წესრიგის შესაბამისად, შედგა დაწესებულების ხელმძღვანელობასთან შეხვედრა და გასაუბრება; საგანმანათლებლო პროგრამისა და მასთან დაკავშირებული დოკუმენტაციის განხილვა; საგანმანათლებლო პროგრამასთან დაკავშირებული ადამიანური რესურსის დოკუმენტაციის შემოწმება; საგანმანათლებლო პროგრამის ხელმძღვანელთან და განმახორციელებელ პროფესიული განათლების მასწავლებლებთან გასაუბრება; პროფესიული სტუდენტის შეფასებასთან დაკავშირებული დოკუმენტაციის განხილვა და ინტერვიუ ხარისხის უზრუნველყოფაზე პასუხისმგებელ პირთან; საგანმანათლებლო პროგრამის შეფასებასა და განვითარებასთან დაკავშირებული მექანიზმების შესწავლა/განხილვა და ინტერვიუ პასუხისმგებელ პირებთან; სასწავლო პროცესის ორგანიზებასთან დაკავშირებული დოკუმენტაციის შესწავლა/განხილვა და ინტერვიუ პასუხისმგებელ პირებთან; საგანმანათლებლო პროგრამის მატერიალურ რესურსთან დაკავშირებული დოკუმენტაციის შემოწმება; საგანმანათლებლო პროგრამასთან დაკავშირებული ბიბლიოთეკის ფონდის შემოწმება და გასაუბრება ბიბლიოთეკართან;

ვიზიტის დასასრულს, ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფმა შეაჯამა გაწეული მუშაობის შედეგები და ჯგუფის თავმჯდომარემ დაწესებულების წინაშე წარადგინა ვიზიტისას გამოკვეთილი ძირითადი მიგნებები. ვიზიტმა ჩაიარა მშვიდ და საქმიან გარემოში.

III. საუკეთესო გამოცდილების საერთო მიმოხილვა

-

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრის ხელმოწერა:

ნაწილი II. სტანდარტთან შესაბამისობა და რეკომენდაციები

I. პროგრამის ავტორიზაციის მე-2 სტანდარტთან შესაბამისობის ცხრილი

სტანდარტი/კომპონენტი	საგანმანათლებლო დაწესებულების შეფასება *(მონიშნეთ შესაბამისი უჯრა სტანდარტისა და კომპონენტის შესაბამისად)*	ექსპერტთა ჯგუფის შეფასება *(მონიშნეთ შესაბამისი უჯრა სტანდარტისა და კომპონენტის შესაბამისად)*
2) საგანმანათლებლო პროგრამები	■ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება	■ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება
2.1) საგანმანათლებლო პროგრამის დაგეგმვა და შემუშავება	■ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება	■ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება
2.2) საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების რესურსი	■ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება	■ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება
2.3) საგანმანათლებლო პროგრამების შეფასება და განვითარება	■ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება	■ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება
2.4) სასწავლო პროცესის ორგანიზება და პროფესიულ სტუდენტთა შეფასება	■ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება	■ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება

II. გამოვლენილი ხარვეზების შეჯამება

-

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრის ხელმოწერა:

III. სტანდარტთან შესაბამისობის რეკომენდაციების შეჯამება

-

IV. განმავითარებელი რეკომენდაციების შეჯამება

2.2.1.2 - სასურველია რომ ინსტრუქტორების შესახებ ინფორმაცია წარმოდგენილი იყოს ცალკე, როგორც კომპანიის მხრიდან გამოყოფილი ადამიანური რესურსი და არ აისახოს პროგრამის პედაგოგთა ჩამონათვალში. გარდა ამისა, მიზანშეწონილია, რომ თითოეული მოდული იყოს უზრუნველყოფილი ორი დარგის მასწავლებლის მონაწილეობით და არა პირიქით — თითო პედაგოგი მიჩნეული იყოს მხოლოდ ერთი მოდულისთვის პასუხისმგებლად. ეს უზრუნველყოფს სწავლების მდგრადობას და პროცესის შეუფერხებლობას მოულოდნელი გარემოებების შემთხვევაში.

V. ინფორმაცია ექსპერტთა ჯგუფის მიერ არგუმენტირებული პოზიციის გაზიარების ან არ გაზიარების თაობაზე

-

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრის ხელმოწერა:

ნაწილი III. ინფორმაცია პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის შესახებ

I. ზოგადი ინფორმაცია

პროგრამის სახელწოდება	გათბობის, ჰაერის კონდიცირებისა და სამაცივრო სისტემების მომსახურება
პროფესიული განათლების დონე	მეოთხე
მისანიჭებელი კვალიფიკაცია	საშუალო პროფესიული კვალიფიკაცია გათბობის, ჰაერის კონდიცირებისა და სამაცივრო სისტემების მომსახურებაში
სწავლის დეტალური სფეროს კოდი	0713
პროგრამის დამტკიცების აქტის რეკვიზიტები	N697082; 18.06.2025
პროგრამის განხორციელების ენა	ქართული
პროგრამის განხორციელების მისამართი/მისამართები	თბილისი, ილია ვეკუას ქ. N44
პროგრამის განხორციელების ფორმა (რეალურ სამუშაო გარემოში/იმიტირებულ სამუშაო გარემოში)	რეალურ სამუშაო გარემოში
რეალურ სამუშაო გარემოში სწავლების ფორმა (კოოპერაციული/დუალური)	დუალური
პროგრამაზე მოთხოვნილი პროფესიულ სტუდენტთა ზღვრული რაოდენობა სწავლების ფორმის მიხედვით	5
მოთხოვნილი სტუდენტთა ზღვრული რაოდენობიდან, პროფესიული სტუდენტთა ზღვრული რაოდენობა იმ სასწავლო გეგმაზე, რომელიც მოიცავს ინტეგრირებულ ზოგად მოდულებს სწავლების ფორმის მიხედვით*(არსებობის შემთხვევაში)*	-
კრედიტების რაოდენობა ინტეგრირებული სასწავლო გეგმის შემთხვევაში ქართულენოვანი სტუდენტებისთვის	-
კრედიტების რაოდენობა არაინტეგრირებული სასწავლო გეგმის შემთხვევაში ქართულენოვანი სტუდენტებისთვის	66
კრედიტების რაოდენობა ინტეგრირებული სასწავლო გეგმის შემთხვევაში არაქართულენოვანი სტუდენტებისთვის	
კრედიტების რაოდენობა არაინტეგრირებული სასწავლო გეგმის შემთხვევაში არაქართულენოვანი სტუდენტებისთვის	96

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრის ხელმოწერა:

II. ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის შეფასება პროგრამაზე მოთხოვნილი პროფესიულ სტუდენტთა ზღვრული რაოდენობის შესახებ

ექსპერტთა ჯგუფი ეთანხმება ☒

ექსპერტთა ჯგუფი არ ეთანხმება ☐

ნაწილი IV. პროფესიული საგანმანთლებლო პროგრამის ავტორიზაციის მე-2 სტანდარტთან შესაბამისობის შეფასება

2. საგანმანათლებლო პროგრამები

2.1 საგანმანათლებლო პროგრამის დაგეგმვა და შემუშავება

2.1.1 პროგრამა შემუშავებულია პსდ-ში დანერგილი საგანმანათლებლო პროგრამების დაგეგმვის და შემუშავების მეთოდოლოგიის შესაბამისად

1. პსდ-ს გადაწყვეტილება საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების შესახებ ეფუძნება შესაბამის დასაბუთებას და შეესაბამება პსდ-ს მისიას და სტრატეგიული განვითარების გეგმას;
2. საგანმანათლებლო პროგრამაზე დაშვების წინაპირობები და პროცედურები უზრუნველყოფს პროგრამაზე ისეთ პირთა დაშვებას, რომელთა წინარე ცოდნა, უნარები ან/და გამოცდილება უზრუნველყოფს პროგრამის განხორციელების ვადაში პროგრამით განსაზღვრული სწავლის შედეგების მიღწევას;
3. პსდ საგანმანათლებლო პროგრამისთვის პროფესიულ სტუდენტთა ზღვრულ ოდენობას განსაზღვრავს შესაბამისი მეთოდოლოგიის მიხედვით;
4. საგანმანათლებლო პროგრამით გათვალისწინებული რესურსები, მათ შორის საგანმანათლებლო რესურსი, უზრუნველყოფს პროფესიული სტუდენტის მიერ პროგრამით გათვალისწინებული სწავლის შედეგების მიღწევას;
5. საგანმანათლებლო პროგრამის არჩევითი მოდულები, მათი არსებობის შემთხვევაში, ლოგიკურ კავშირშია მისანიჭებელ კვალიფიკაციასთან ან/და პროფესიული სტუდენტის მომავალ საქმიანობასთან;
6. საგანმანათლებლო პროგრამა დამტკიცებულია დაწესებულების უფლებამოსილი პირის/ორგანოს მიერ;
7. პროგრამის სახელწოდება შეესაბამება პროგრამის შინაარსს/პროგრამით გათვალისწინებულ მისაღწევ სწავლის შედეგებს და არ არის შეცდომაში შემყვანი;
8. პსდ-ს საგანმანათლებლო პროგრამა შეესაბამება საგანმანათლებლო პროგრამის შემუშავებასთან დაკავშირებულ, კანონმდებლობით დადგენილ მოთხოვნებს.

/

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრის ხელმოწერა:

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. პსდ-ს გადაწყვეტილება საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების შესახებ ეფუძნება შესაბამის დასაბუთებას და შეესაბამება პსდ-ს მისიას და სტრატეგიული განვითარების გეგმას, კერძოდ: სსიპ - კოლეჯი გლდანის პროფესიული მომზადების ცენტრი წარმოადგენს განვითარებაზე ორიენტირებულ საგანმანათლებლო დაწესებულებას, რომლის მისიაც არის შრომის ბაზრის მოთხოვნების შესაბამისი ცოდნითა და უნარებით აღჭურვილი კონკურენტუნარიანი კადრების მომზადება. აღნიშნული მისია პირდაპირ ასახულია კოლეჯის 7-წლიან სტრატეგიულ და 1-წლიან სამოქმედო გეგმაში.

ამ კონტექსტში, პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის — **„გათბობის, ჰაერის კონდიცირებისა და სამაცივრო სისტემების“** — დანერგვის გადაწყვეტილება ეფუძნება შრომის ბაზრის მოთხოვნების ანალიზს და კვალიფიციური სპეციალისტების მომზადების რეალურ საჭიროებას. კოლეჯი აღნიშნული მიმართულებით ინტერესს ჯერ კიდევ 2021 წლიდან ავლენდა და იმ დროისთვის განიხილავდა პროგრამის „ჰაერის კონდიცირება“ დუალური მიდგომით განხორციელებას. თუმცა, მას შემდეგ, რაც გადაწყდა საგანმანათლებლო სტანდარტის განახლება, დაწესებულებამ მიზანშეწონილად მიიჩნია დალოდებოდა განახლებული დოკუმენტის გამოქვეყნებას და საბოლოოდ, ახალი სტანდარტის ფარგლებში წარადგინა პროგრამის დამატების განაცხადი. სტანდარტის განახლებამ კოლეჯს შესაძლებლობა მისცა, პროგრამა თანამედროვე შრომის ბაზრის მოთხოვნებზე მორგებული სტრუქტურით და შინაარსით დაგეგმილიყო.

პროგრამის განხორციელება დაგეგმილია დუალური მიდგომით, რაც გულისხმობს სწავლების პროცესის წარმართვას რეალურ სამუშაო გარემოში. ამ მიზნისთვის კოლეჯს ჰყავს კერძო სექტორის პარტნიორი ორგანიზაციები, რომლებიც მზად არიან თანამშრომლობისთვის და სწავლის პრაქტიკული ნაწილის უზრუნველყოფისთვის.

ამრიგად, პსდ-ის გადაწყვეტილება პროგრამის დაწყების თაობაზე ემყარება დაწესებულების სტრატეგიულ გეგმას, მის საკვალიფიკაციო პრიორიტეტებსა და შრომის ბაზრის საჭიროებებზე მორგებული პროფესიული განათლების განვითარების პოლიტიკას, რაც სრულ შესაბამისობაშია როგორც დაწესებულების მისიასთან, ისე მის გრძელვადიან მიზნებთან.

2.საგანმანათლებლო პროგრამაზე დაშვების წინაპირობები და პროცედურები უზრუნველყოფს პროგრამაზე ისეთ პირთა დაშვებას, რომელთა წინარე ცოდნა, უნარები ან/და გამოცდილება უზრუნველყოფს პროგრამის განხორციელების ვადაში პროგრამით განსაზღვრული სწავლის შედეგების მიღწევას, კერძოდ: საგანმანათლებლო პროგრამაზე დაშვების წინაპირობაა - სრული ზოგადი განათლება. პროგრამაზე დაშვების წინაპირობები და პროცედურები სრულ შესაბამისობაშია საგანმანათლებლო სტანდარტთან.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრის ხელმოწერა:

3.პსდ საგანმანათლებლო პროგრამისთვის პროფესიულ სტუდენტთა ზღვრულ ოდენობას განსაზღვრავს შესაბამისი მეთოდოლოგიის მიხედვით, კერძოდ: სსიპ კოლეჯ „გლდანის პროფესიული მომზადების ცენტრის“ მიერ პროგრამაზე დადგენილი ზღვრული რაოდენობა შეესაბამება დირექტორის 2018 წლის 2 მაისის №34 ბრძანებით დამტკიცებულ **„პროფესიულ სტუდენტთა ზღვრული რაოდენობის განსაზღვრის მეთოდოლოგიას“** *(შეტანილი ცვლილება: დირექტორის №247 ბრძანება, 2021 წლის 31 დეკემბერი)* **მეთოდოლოგიას.** შესაბამისად, პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამაზე პროფესიულ სტუდენტთა ზღვრული რაოდენობის განსაზღვრისას გათვალისწინებული იყო შემდეგი ფაქტორები:

ა) **A და B ტიპის სასწავლო გარემოში არსებული სამუშაო ადგილების რაოდენობა** — აღნიშნული პროგრამისათვის განსაზღვრულია ერთი თეორიული სწავლების აუდიტორია (№20), რომელიც წარმოადგენს A/B ტიპის სასწავლო გარემოს და აღჭურვილია 12 პროფესიული სტუდენტისათვის საჭირო რესურსებით.

ბ) **პროგრამის განხორციელების დუალური ფორმატი** — საგანმანათლებლო პროგრამის საერთო მოცულობა შეადგენს 66 კრედიტს, მათგან 55 კრედიტი პროფესიულ მოდულებზე მოდის. აღნიშნული 55 კრედიტიდან 60.9% განხორცილდება კოლეჯის პარტნიორ კომპანიებში. შესაბამისად, სტუდენტთა რაოდენობა შეჯერებულია საწარმოებთან და ეფუძნება პარტნიორ ორგანიზაციებში ხელმისაწვდომ ადგილებს.

გ) **პროგრამის ხანგრძლივობა** — გათვალისწინებულია სრული საგანმანათლებლო ციკლის ხანგრძლივობა.

დ) **მოდულების განმახორციელებელი პროფესიული განათლების პედაგოგების რაოდენობა** — შეფასდა თეორიული და პრაქტიკული სწავლების უზრუნველმყოფი პერსონალის შესაბამისობა სტუდენტთა რაოდენობასთან.

აღსანიშნავია, რომ დაწესებულებას წარმოდგენილი აქვს შესაბამისი კვოტის განსაზღვრის დოკუმენტი, რომლის მიხედვითაც პროგრამაზე მოთხოვნილი რაოდენობა შეადგენს **5 პროფესიულ სტუდენტს**. კონკრეტულად, თეორიული სწავლება უზრუნველყოფილია A/B ტიპის გარემოში (12 სტუდენტზე გათვლილი სივრცე), ხოლო პრაქტიკული კომპონენტის განხორციელება დაგეგმილია პარტნიორ ორგანიზაციებში, ჯგუფში ერთიანად მაქსიმუმ 5 პროფესიული სტუდენტით.

4. საგანმანათლებლო პროგრამით გათვალისწინებული რესურსები, მათ შორის საგანმანათლებლო რესურსი, უზრუნველყოფს პროფესიული სტუდენტის მიერ პროგრამით გათვალისწინებული სწავლის შედეგების მიღწევას, კერძოდ: ვიზიტის დროს ექსპერტთა ჯგუფის მიერ შემოწმდა საგანმანათლებლო პროგრამით გათვალისწინებული რესურსები, მათ შორის საგანმანათლებლო რესურსები, როგორც დაწესებულების ბაზაზე, ასევე ექსპერტების გაეცნენ პარტნიორ სასწავლო საწარმოების შესახებ მონაცემებს, სადაც პროფესიული სტუდენტები გაივლიან პრაქტიკულ სწავლებას და დასტურდება, რომ პროფესიული სტუდენტის მიერ პროგრამით გათვალისწინებული სწავლის შედეგების მიღწევა უზრუნველყოფილი იქნება, როგორც დაწესებულებაში, ასევე, პარტნიორი ორგანიზაციის ბაზაზე არსებული პროგრამის შესაბამისი რესურსით.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრის ხელმოწერა:

5.საგანმანათლებლო პროგრამის არჩევითი მოდულები, მათი არსებობის შემთხვევაში, ლოგიკურ კავშირშია მისანიჭებელ კვალიფიკაციასთან ან/და პროფესიული სტუდენტის მომავალ საქმიანობასთან, კერძოდ: პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამა „გათბობის, ჰაერის კონდიცირებისა და სამაცივრო სისტემების მომსახურების“ მოიცავს ორ არჩევით მოდულს პროფესიული საგანმანათლებლო სტანდარტის არჩევითი ბლოკიდან, არჩევითი მოდულების შერჩევა კოლეჯისა და პარტნიორი სასწავლო საწარმოების ერთობლივი გადაწყვეტილებით დაიგეგმა. არჩევითი მოდულები ლოგიკურ კავშირშია მისანიჭებელ კვალიფიკაციასთან.

6. საგანმანათლებლო პროგრამა დამტკიცებულია დაწესებულების უფლებამოსილი პირის/ორგანოს მიერ, კერძოდ: საგანმანათლებლო პროგრამა დამტკიცებულია, კოლეჯის დირექტორის მ.შ. მიერ 2025 წლის 18 ივნისის N697082 ბრძანებით, რომლის უფლებამოსილება დასტურდება დოკუმენტის ,,სსიპ - კოლეჯის „გლდანის პროფესიული მომზადების ცენტრის“ პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის დაგეგმვის, შემუშავების, დამტკიცების, მასში ცვლილების შეტანისა და გაუქმების წესის (18.02.2020 წლის N28 ბრძანება, ბოლო ცვლილება: N107748, 04.02.2025)“ მეოთხე მუხლის “სამუშაოზე დაფუძნებული სწავლების ფორმით განხორციელებული პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის დამტკიცების წესი” მეშვიდე პუნქტის შესაბამისად.

7. პროგრამის სახელწოდება შეესაბამება პროგრამის შინაარსს/პროგრამით გათვალისწინებულ მისაღწევ სწავლის შედეგებს და არ არის შეცდომაში შემყვანი, კერძოდ: პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამა „გათბობის, ჰაერის კონდიცირებისა და სამაცივრო სისტემების მომსახურების“ შემუშავებული ა(ა)იპ პროფესიული უნარების მიერ დამტკიცებული იმავე სახელწოდების პროფესიული საგანმანათლებლო სტანდარტის საფუძველზე და არ არის შეცდომაში შემყვანი.

8.პსდ-ს საგანმანათლებლო პროგრამა შეესაბამება საგანმანათლებლო პროგრამის შემუშავებასთან დაკავშირებულ, კანონმდებლობით დადგენილ მოთხოვნებს, კერძოდ: პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამით განსაზღვრული მისანიჭებელი კვლიფიკაცია, პროგრამის მიზნები, მოცულობა, მისაღწევი სწავლის შედეგები პროგრამაზე დაშვების წინაპირობები, სწავლის მეთოდები და შეფასების მიმართულებები და შესაბამისად საგანმანათლებლო პროგრამა შემუშავებულია საგანმანათლებლო პროგრამის შემუშავებასთან დაკავშირებული, კანონმდებლობით დადგენილი მოთხოვნების მიხედვით.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრის ხელმოწერა:

დასტურდება (მტკიცებულებები):

1. კოლეჯის მისია

2. შვიდწლიანი სტრატეგიული გეგმა (დამტკიცებულია დირექტორის 2018 წლის 11 მაისის N43 ბრძანებით, ბოლო ცვლილება: N85, 29.06.2020)

3. 2024-2025 წლის ერთწლიანი სამოქმედო გეგმა (დამტკიცებულია დირექტორის 12.08.2024 წლის N144 ბრძანებით)

4. სსიპ - კოლეჯ „გლდანის პროფესიული მომზადების ცენტრის“ პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის შემუშავების, დამტკიცების, მასში ცვლილების შეტანის, განხორციელების, შეფასებისა და გაუქმების მეთოდოლოგია (დამტკიცებულია დირექტორის 18.02.2020 წლის N28 ბრძანებით, ბოლო ცვლილება: N107748, 04.02.2025)

5. „სსიპ - კოლეჯ „გლდანის პროფესიული მომზადების ცენტრის“ პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის დამატებისა და პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამაზე პროფესიულ სტუდენტთა ადგილების ზღვრული რაოდენობის განსაზღვრის მიზნით შექმნილი კომისიის სხდომის ოქმი N15

6. პროფესიული საგანმანათლებლო პრგორამა „გათბობის, ჰაერის კონდიცირებისა და სამაცივრო სისტემების მომსახურება“ (დამტკიცებულია დირექტორის 2025 წლის18 ივნისის N697082 ბრძანებით)

7. სსიპ - კოლეჯ "გლდანის პროფესიული მომზადების ცენტრის" "პროფესიულ სტუდენტთა ზღვრული რაოდენობის განსაზღვრის მეთოდოლოგია" (დამტკიცებულია დირექტორის 02.05.2018 წლის N34 ბრძანებით, ბოლო ცვლილება: N247, 31.12.2021)

8. პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამაზე, „გათბობის, ჰაერის კონდიცირებისა და სამაცივრო სისტემების მომსახურება“ ჩასარიცხ პროფესიულ სტუდენტთა მოთხოვნილი საერთო რაოდენობის დასაბუთება

9. საქართველოს განათლების, მეცნიერების, კულტურისა და სპორტის მინისტრის 2019 წლის 19 ივნისის №121/ნ ბრძანებით დამტკიცებული ქ. თბილისის საჯარო სამართლის იურიდიული პირის – კოლეჯ „გლდანის პროფესიული მომზადების ცენტრის“ წესდება.

შეფასება:

- ☒ შეესაბამება
- ☐ მეტწილად შეესაბამება
- ☐ ნაწილობრივ შეესაბამება
- ☐ არ შეესაბამება

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრის ხელმოწერა:

2.2 საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების რესურსი

2.2.1 პროგრამა უზრუნველყოფილია პროგრამის განსახორციელებლად საჭირო რესურსებით

1. პროგრამით გათვალისწინებული სწავლის შედეგების მიღწევა უზრუნველყოფილია დაწესებულების/სასწავლო საწარმოს/პრაქტიკის ობიექტის მფლობელობაში არსებული მატერიალური რესურსით, პროფესიულ სტუდენტთა ზღვრული რაოდენობის გათვალისწინებით;
2. პროგრამისთვის განსაზღვრული პროფესიული განათლების მასწავლებელთა რაოდენობა და დატვირთვა უზრუნველყოფს საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების მდგრადობას;
3. პროგრამისთვის განსაზღვრულ პროფესიული განათლების მასწავლებელს აქვს პროფესიულ სტუდენტთათვის შესაბამისი სწავლის შედეგების გამომუშავების და შეფასების კომპეტენცია;
4. საგანმანათლებლო პროგრამას ჰყავს პსდ-ს მიერ განსაზღვრული, შესაბამისი დარგობრივი კომპეტენციის მქონე ხელმძღვანელი;
5. საგანმანათლებლო პროგრამაში მითითებული საგანმანათლებლო რესურსი ხელმისაწვდომია ელექტრონული სახით ან დაწესებულების ბიბლიოთეკაში მატერიალური სახით და გამოიყენება სასწავლო პროცესში;
6. სსსმ პირებს წვდომა აქვთ პროგრამით გათვალისწინებულ ან ინდივიდუალური სასწავლო გეგმით გათვალისწინებულ სასწავლო რესურსებთან, რომლებიც ადაპტირებულია სსსმ პირების საჭიროებებისა და მოთხოვნილებების შესაბამისად;
7. პსდ-ს ფინანსური რესურსით უზრუნველყოფილია საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების მდგრადობა.

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1.პროგრამით გათვალისწინებული სწავლის შედეგების მიღწევა უზრუნველყოფილია დაწესებულების და სასწავლო საწარმოს მფლობელობაში არსებული მატერიალური რესურსით, პროფესიულ სტუდენტთა ზღვრული რაოდენობის გათვალისწინებით, კერძოდ: პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის „გათბობის, ჰაერის კონდიცირებისა და სამაცივრო სისტემების მომსახურება“ განხორციელება კოლეჯის მიერ დაგეგმილია სამუშაოზე დაფუძნებული სწავლების ფორმით, დუალური მიდგომით. აღნიშნული მოდელის ფარგლებში სწავლის შედეგების ნაწილი მიიღწევა კოლეჯის ბაზაზე, ნაწილი კი — პარტნიორი სასწავლო საწარმოების რეალურ სამუშაო გარემოში.

პროგრამის იმ მოდულების განსახორციელებლად, რომლებიც უნდა განხორციელდეს **სასწავლო დაწესებულების ბაზაზე**, კოლეჯს გააჩნია **A/B ტიპის სასწავლო გარემო**, რომელიც აღჭურვილია პროგრამისთვის აუცილებელი მატერიალური და ტექნიკური რესურსებით. კონკრეტულად, განკუთვნილია ერთი თეორიული სწავლების აუდიტორია (№20), რომელიც მოიცავს:

- 12 სამუშაო ადგილს პროფესიული სტუდენტებისთვის (სკამები და მერხები);

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრის ხელმოწერა:

- პედაგოგისთვის სამუშაო სივრცეს, კომპიუტერსა და პროექტორს;
- ასევე — პროფესიული სტუდენტების რაოდენობის შესაბამის ნოუთბუქებს.

გამომდინარე იქიდან, რომ პროგრამა გათვლილია **5 პროფესიულ სტუდენტზე**, არსებული ინფრასტრუქტურა სრულად შეესაბამება მოთხოვნებს და შეფასებულია, როგორც საკმარისი და მიზანშეწონილი შესაბამისი სწავლის შედეგების მისაღწევად.

დუალური სწავლების მოდელის შესაბამისად, პროგრამის სრული კრედიტების 60.9% ხორციელდება საწარმოთა ბაზაზე. აღნიშნული პროცესი განხორციელდება ორი პარტნიორი სასწავლო საწარმოს — შპს „მეს ჯორჯია“ და შპს „თბილ სახლი“ — ჩართულობით. ორივე ორგანიზაციას მინიჭებული აქვს სასწავლო საწარმოს სტატუსი, რაც დადასტურებულია პროფესიული უნარების სააგენტოს მიერ გაცემული ბრძანებით.

სტატუსის მინიჭება ეფუძნება საქართველოს მთავრობის №451 დადგენილებით განსაზღვრულ სტანდარტებს. შეფასების პროცესს ახორციელებს სააგენტოს მიერ დაკომპლექტებული სამუშაო ჯგუფი, რომელშიც წარმოდგენილნი არიან როგორც დარგის, ასევე განათლების სფეროს ექსპერტები. სამუშაო ჯგუფი სწავლობს საწარმოს მიერ www.skills.emis.ge პორტალის მეშვეობით წარდგენილ დოკუმენტაციას და ამზადებს შესაბამის შეფასების დოკუმენტს. შეფასების შედეგები წარედგინება კომისიას, რომელიც იღებს საბოლოო გადაწყვეტილებას საწარმოსთვის სტატუსის მინიჭების შესახებ.

აღნიშნული პროცედურის შედეგად დადასტურდა ორივე საწარმოს მზაობა პროგრამის განხორციელებისთვის — როგორც ადამიანური რესურსის, ისე მატერიალურ-ტექნიკური ბაზის თვალსაზრისით.

პროგრამის ფარგლებში, კომპანიების ჩართულობა ორგანიზებულია **კონსორციუმის პრინციპით**, რაც გულისხმობს სწავლის შედეგების განაწილებას შემდეგნაირად:

- **შპს „მეს ჯორჯია“** უზრუნველყოფს პროგრამის ძირითადი პრაქტიკული კომპონენტების განხორციელებას;
- **შპს „თბილ სახლი“** ჩართულია შემდეგი მოდულების განხორციელებაში: ა) **ჰაერის კონდიცირების, სამაცივრო და თბური ტუმბოს სისტემების მონტაჟი** და ბ) **ჰაერის კონდიცირების, სამაცივრო და თბური ტუმბოს სისტემების გაშვება-გამართვა ექსპლუატაცია და დემონტაჟი.**

აღნიშნული თანამშრომლობა უზრუნველყოფს პროგრამით გათვალისწინებული ყველა სწავლის შედეგის მიღწევას და მათი მიღწევის პროცესში სასაწავლო საწარმოების აქტიურ ჩართულობას რეალური სამუშაო გარემოში ინტეგრირების მიზნით.

2. პროგრამისთვის განსაზღვრული პროფესიული განათლების მასწავლებელთა რაოდენობა და დატვირთვა უზრუნველყოფს საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების მდგრადობას, კერძოდ: პროგრამის განხორციელებაში ჩართულია 13 პროფესიული განათლების მასწავლებელი. სპეციალიზაციის მოდულების განსახორციელებლად, დარგის მასწავლებლად განსაზღვრულია 2 (ორი) პროფესიული მასწავლებელი. პროგრამის განმახორციელებელ პირთა რაოდენობა, მათი შესაბამისობა პროფესიული სტუდენტების რაოდენობასთან და დატვირთვა უზრუნველყოფს

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრის ხელმოწერა:

საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების და მათზე დაკისრებული ფუნქცია - მოვალეობების ჯეროვნად შესრულებას, რითაც დასტურდება საგანმანათლებლო პროგრამის მდგრადობა. მათი საკონტაქტო საათების დატვირთვა ერთი პროგრამის მიზნებისათვის სასწავლო გეგმის მიხედვით კვირაში არ აღემატება 40 საათს.

აქვე, აღსანიშნავია რომ სასწავლო საწარმოს სტატუსის ფარგლებში პარტნიორ ორგანიზაციებს ყავთ შესაბამისის პირები შერჩეული, ვინც სასწავლო პროცესის დაგეგმვა, წარმართვას, შეფასებასა და სტუდენტების განვითარების პროცესებს უზრუნველყოფს საწარმოში სასწავლო პროცესის დაგეგმვის დროიდან.

დაწესებულების მიერ წარმოდგენილ დოკუმენტში მოცემულია ინფორმაცია პროგრამის განხორციელებაში ჩართული კომპანიების ინსტრუქტორების შესახებ, რომლებიც მონაწილეობას მიიღებდნენ მოდულების განხორციელებაში დარგის მასწავლებლებთან ერთად.

თუმცა, კოლეჯს მიეცა განმავითარებელი რეკომენდაცია, რომ სასურველია კომპანიის მიერ შერჩეული ადამიანური რესურსი განიხილებოდეს მხოლოდ როგორც საწარმოს გაზაზე მოქმედი ინსტრუქტორი და არა როგორც კოლეჯის პროგრამის განმახორციელებელი პედაგოგი. შესაბამისად, მიზანშეწონილია, რომ ინსტრუქტორების შესახებ ინფორმაცია წარმოდგენილი იყოს ცალკე, როგორც კომპანიის მხრიდან გამოყოფილი რესურსი და არ აისახოს პროგრამის პედაგოგთა ჩამონათვალში.

გარდა ამისა, მიზანშეწონილია, რომ თითოეული მოდული იყოს უზრუნველყოფილი ორი დარგის მასწავლებლის მონაწილეობით და არა პირიქით — თითო პედაგოგი მიჩნეული იყოს მხოლოდ ერთი მოდულისთვის პასუხისმგებლად. ეს უზრუნველყოფს სწავლების მდგრადობას და პროცესის შეუფერხებლობას მოულოდნელი გარემოებების შემთხვევაში.

3.პროგრამისთვის განსაზღვრულ პროფესიული განათლების მასწავლებელს აქვს პროფესიულ სტუდენტთათვის შესაბამისი სწავლის შედეგების გამომუშავების და შეფასების კომპეტენცია, კერძოდ: პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელებაში ჩართული კოლეჯის პროფესიული განათლების მასწავლებლები სრულად აკმაყოფილებენ პროგრამის სპეციფიკით გათვალისწინებულ მოთხოვნებს. ვიზიტის ფარგლებში დეტალურად გადამოწმდა პერსონალის პირადი საქმეები და მათთან გაფორმებული ხელშეკრულებები. დადასტურდა, რომ პროგრამის განმახორციელებელი პერსონალი ფლობს შესაბამის განათლებასა და პრაქტიკულ გამოცდილებას.

მასწავლებელთა უმრავლესობას გააჩნია სწავლებისა და შეფასების კომპეტენცია, რაც დადასტურებულია:

- შესაბამისი პროფესიული ან აკადემიური კვალიფიკაციით,
- პროფესიულ და პედაგოგიურ სფეროში მრავალწლიანი გამოცდილებით,
- აგრეთვე გავლილი აქვთ შესაბამისი ტრენინგები სწავლებისა და შეფასების მიმართულებით.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრის ხელმოწერა:

ეს გარემოებები უზრუნველყოფს, რომ პროფესიული სტუდენტებისთვის სწავლის შედეგების მიღწევა და შეფასება მოხდება მაღალი სტანდარტების შესაბამისად.

დუალური სწავლების ფარგლებში, პროგრამის განხორციელებაში ჩართული არიან პარტნიორი საწარმოების მიერ შერჩეული შესაბამისი კვალიფიკაციის მქონე ინსტრუქტორები. მათი გადამზადება დაგეგმილია **არაუგვიანეს სწავლის დაწყებამდე**, საქართველოს სავაჭრო-სამრეწველო პალატის მიერ ორგანიზებული **„კომპანიის ინსტრუქტორის ტრენინგის“** კურსის მეშვეობით. ტრენინგი მიზნად ისახავს ინსტრუქტორების აღჭურვას სწავლებისა და შეფასების საკვანძო კომპეტენციებით, რაც უზრუნველყოფს მათი საქმიანობის შესაბამისობას საგანმანათლებლო პროცესის ხარისხთან და პროფესიული სტანდარტების მოთხოვნებთან. აღნიშნული გადამზადების შედეგად, ინსტრუქტორები შეძლებენ რეალურ სამუშაო გარემოში სწავლის შედეგების მიზნობრივად და ეფექტურად უზრუნველყოფას.

4.საგანმანათლებლო პროგრამას ჰყავს პსდ-ს მიერ განსაზღვრული, შესაბამისი დარგობრივი კომპეტენციის მქონე ხელმძღვანელი, კერძოდ: სსიპ კოლეჯის გლდანის მომზადების პროფესიული ცენტრის დირექტორის მ.შ მიერ 2018 წლის 2 მაისის N30 ბრძანებით (ცვლილება - 16/06/2025 N671929) შემუშავებულია პროფესიული განათლების მასწავლებლისა და პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის ხელმძღვანელის შერჩევის წესი, ხოლო პსდ დირექტორის მ.შ. მიერ 13/06/2025 N665295 ბრძანებით „პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის გათბობის, ჰაერის კონდიცირებისა და სამაცივრო სისტემების მომსახურება, ხელმძღვანელად, პროფესიული განათლების მასწავლებლის დანიშვნის თაობაზე“ - დანიშნულია შესაბამისის კომპეტენციის და მრავალწლიანი გამოცდილების მქონე პროგრამის ხელმძღვანელი. პროგრამის ხელმძღვანელი უძღვება პროფესიული საგნმანათლებლო პროგრამების შემუშავებისა და განვითარების პროცესებს. მონაწილეობას მიიღებს შეფასების ინსტრუმენტის ვალიდაციის პროცესებში და სხვა.

5.საგანმანათლებლო პროგრამაში მითითებული საგანმანათლებლო რესურსი ხელმისაწვდომია ელექტრონული სახით ან დაწესებულების ბიბლიოთეკაში მატერიალური სახით და გამოიყენება სასწავლო პროცესში, კერძოდ: დაწესებულებაში ვიზიტისას შემოწმდა ბიბლიოთეკა და საგანამანათლებლო რესურსები. „გათბობის, ჰაერის კონდიცირებისა და სამაცივრო სისტემების მომსახურების“ პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამაში მითითებული საგანმანათლებლო რესურსი ხელმისაწვდომია კოლეჯის ბიბლიოთეკაში ყველა პროფესიული სტუდენტისათვის ელექტრონული სახით და/ან მატერიალური სახით და გამოიყენება სასწავლო პროცესში. კოლეჯში დანერგილი პრაქტიკაა, რომ ელექტრონული საგანმანათლებლო რესურსი ჩატვირთულია პროფესიული სტუდენტების კომპიუტერებში პროგრამისთვის გამოყოფილ სასწავლო აუდიტორიაში, რაც შემოწმდა და დასტურდება ექსპერტების მიერ.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრის ხელმოწერა:

ექსპერტთა მიერ შერჩევით გადამოწმდა ლიტერატურა, რის შედეგადაც დადგინდა, რომ ბიბლიოთეკის ფონდი შეესაბამება პროგრამისთვის საჭირო ლიტერატურას. აღსანიშნავია, რომ დაწესებულებამ ბიბლიოთეკის ფონდში დაამატა პროგრამის შესაბამისი ახალი უცხოური ლიტერატურა, რომლის მოძიება და თარგმნა მოხდა დაწესებულებსი მიერ და ხელმისაწვდომია ელექტრონული სასწავლო რესურსი სახით.

ბიბლიოთეკაში, ბიბლიოთეკის დებულება და ბიბლიოთეკით სარგებლობის წესი, გამოკრულია თვალსაჩინო ადგილას. კოლეჯში ინახება წიგნადი ფონდის აღრიცხვის საინვენტარო წიგნი, ხოლო, წიგნადი ფონდი დამუშავებულია ბიბლიოთეკით სარგებლობის წესის შესაბამისად.

6. სსსმ პირებს წვდომა აქვთ პროგრამით გათვალისწინებულ ან ინდივიდუალური სასწავლო გეგმით გათვალისწინებულ სასწავლო რესურსებთან, რომლებიც ადაპტირებულია სსსმ პირების საჭიროებებისა და მოთხოვნილებების შესაბამისად, კერძოდ: დირექტორის 2019 წლის 8 აგვისტოს N62 ბრძანებით დამტკიცებულია „სასწავლო პროცესის მარეგულირებელი წესი“, რომლიც განსაზღვრავს ინდივიდუალური სასწავლო გეგმის შემუშავების მექანიზმებს როგორც სსსმ ან/და შშმ პირებისთვის, ასევე საჭიროებიდან გამომდინარე სხვა პროფესიული სტუდენტებისთვის. ამავე წესით განსაზღვრულია „სასწავლო პროცესში ინკლუზიური განათლების ინტეგრირებისა და ინკლუზიური სასწავლო გარემოს შექმნის მექანიზმები“, რომლის მიხედვითაც „კოლეჯი ახორციელებს ინკლუზიური განათლების დანერგვას, რაც გულისხმობს საჭირო დამატებითი ადამიანური და მატერიალური რესურსის უზრუნველყოფის გზით სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების მქონე პროფესიულ სტუდენტთა ჩართვას სასწავლო პროცესში და მათთვის შესაბამისი სასწავლო გარემოს შექმნის უზრუნველყოფას“. ასევე, საჭიროების შემთხვევაში კოლეჯი უზრუნველყოფს სსსმ პირთა საგანმანათლებლო პროცესში ჟესტური ენის თარჯიმნის, სივრცითი ორიენტაციისა და მობილობის ტრენერის, გადაადგილების მხარდაჭერის და სპეციალური მომვლელის ჩართვას. კოლეჯი მოწყობილია გარე პანდუსით და აღჭურვილია ლიფტით, შესაბამისად კოლეჯის ტერიტორიაზე შშმ პირს აქვს შეუზღუდავი გადაადგილების და მატერიალურ-ტექნიკური ბაზით სარგებლობის შესაძლებლობა. დაწესებულების წარმომადგენლებთან ინტერვიუებით გამოვლინდა, რომ ისინი იცნობენ სსსმ პირებისთვის სწავლების თავისებურებებს და აქვთ მზაობა საჭიროების შემთხვევაში განხორციელდეს როგორც მათი მხარდაჭერა, ასისტირება, ასევე, სასწავლო რესურსების ადაპტირება სსსმ პირების კონკრეტული მოთხოვნილებების შესაბამისად.

7.პსდ-ს ფინანსური რესურსით უზრუნველყოფილია საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების მდგრადობა - კოლეჯის მიერ განხორციელებული პროგრამები ვაუჩერული დაფინანსებით ფინანსდება, რაც უზრუნველყოფს მათ ფინანსურ მდგრადობას. თუმცა, ვიზიტის პერიოდისთვის პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამა „გათბობის, ჰაერის კონდიცირებისა და სამაცივრო სისტემების მომსახურება“ არ იყო

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრის ხელმოწერა:

განფასებული საქართველოს მთავრობის №244 დადგენილებით. შესაბამისად, კოლეჯს არ ჰქონდა შემუშავებული პროგრამის საპროგნოზო ბიუჯეტი, რომელიც ასახავდა პროგრამის განხორციელებასთან დაკავშირებულ შემოსავალ-ხარჯებსა და რენტაბელობის ზღვარს.

კოლეჯის წარმომადგენლებთან გასაუბრებისას აღინიშნა, რომ წარსულში დათვლილი რენტაბელობის ზღვარი შეადგენდა 3 სტუდენტს და ეფუძნებოდა ძველ საგანმანათლებლო სტანდარტს — „ჰაერის კონდიცირება“. მათი განმარტებით, ახალ მოდულებზე დაფინანსების განფასება №244 დადგენილების საფუძველზე არაუგვიანეს სასწავლო პროცესის დაწყებისა განხორციელდება და შემუშავდება შესაბამისი დოკუმენტაცია. აღნიშნული დოკუმენტი წარედგინება განათლების ხარისხის განვითარების ეროვნულ ცენტრს.

დასტურდება (მტკიცებულებები):

1. მატერიალური რესურსის ფლობის დამადასტურებელი დოკუმენტაცია;

2. პროფესიული საგანმანათლებლო პრგორამა „გათბობის, ჰაერის კონდიცირებისა და სამაცივრო სისტემების მომსახურების“ (დამტკიცებულია დირექტორის 2025 წლის18 ივნისის N697082 ბრძანებით);

3. პროფესიული განათლების მასწავლებელთან გაფორმებული შრომით ხელშეკრულება

4. პროფესიული განათლების მასწავლებლების პირადი საქმეები

5. პროგრამის ხელმძღვანელის პირადი საქმე

6. სასწავლო საწარმოსთან გაფორმებული ხელშეკრულებები

7. ვიზუალური დათვალიერება

8.გასაუბრება

შეფასება:

☒ შეესაბამება
☐ მეტწილად შეესაბამება
☐ ნაწილობრივ შეესაბამება
☐ არ შეესაბამება

2.3 საგანმანათლებლო პროგრამების შეფასება და განვითარება

2.3.1 პროგრამის განვითარება უზრუნველყოფილია პროგრამების შეფასებისა და განვითარების პსდ-ში მოქმედი მექანიზმით

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრის ხელმოწერა:

1. პროგრამის შეფასების მექანიზმი ითვალისწინებს შრომის ბაზრის მოთხოვნებს, უკუკავშირს დაინტერესებული მხარეებისგან, საუკეთესო ადგილობრივ ან/და საერთაშორისო პრაქტიკას და სხვ.;
2. პსდ აანალიზებს პროგრამის განხორციელების ხარისხის შეფასების შედეგებს და საჭიროების შემთხვევაში ახორციელებს ცვლილებებს საგანმანათლებლო პროგრამაში/მოდულებში მის მიერ განსაზღვრული წესებისა და პროცედურების შესაბამისად.

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1.პროგრამის შეფასების მექანიზმი ითვალისწინებს შრომის ბაზრის მოთხოვნებს, უკუკავშირს დაინტერესებული მხარეებისგან, საუკეთესო ადგილობრივ ან/და საერთაშორისო პრაქტიკას და სხვ, კერძოდ: სსიპ - კოლეჯ „გლდანის პროფესიული მომზადების ცენტრის“ პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის შემუშავების, დამტკიცების, მასში ცვლილების შეტანის, განხორციელების, შეფასების და გაუქმების მეთოდოლოგია აღწერს პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის შეფასებისა და განვითარების მექანიზმებს, რომელსაც იყენებს სასწავლო პროცესის ხარისხის გასაუმჯობესებლად განათლების ხარისხის განვითარების შიდა მექანიზმების საშუალებით. შიდა მექანიზმის სისტემა ძირითადად დაფუძნებულია პროფესიულ სტუდენტთა, კურსდამთავრებულთა, პროფესიული განათლების მასწავლებელთა და დამსაქმებელთა გამოკითხვის შედეგად მიღებულ ინფორმაციაზე. პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის შეფასების მიზნით კოლეჯი:

ა) შეიმუშავებს პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის შეფასების სისტემას;

ბ) ადგენს პროგრამის შეფასებისათვის სხვადასხვა სახის დოკუმენტაციას (პროფესიულ სტუდენტთა კითხვარებს, პროფესიული განათლების მასწავლებლების კითხვარებს, კურსდამთავრებულთა სტატისტიკას, დამსაქმებელთა კითხვარებს, ინტერვიუს შედეგებს, პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების განხორციელების მონიტორინგის ჯგუფის სხდომის ოქმებს და ა.შ.).

აღნიშნული მექანიზმის ფარგლებში მოხდება სამომავლოდ ახალი პროგრამის შეფასება და განვითარება, სადაც დაინტეგრირდება სხვადასხვა დაინტერესებულ მხარეთაგან მიღებული უკუკავშირი.

2. პსდ აანალიზებს პროგრამის განხორციელების ხარისხის შეფასების შედეგებს და საჭიროების შემთხვევაში ახორციელებს ცვლილებებს საგანმანათლებლო პროგრამაში/მოდულებში მის მიერ განსაზღვრული წესებისა და პროცედურების შესაბამისად - პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის შემუშავების, დამტკიცების, მასში ცვლილების შეტანის, განხორციელების, შეფასების და გაუქმების მეთოდოლოგიის თანახმად

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრის ხელმოწერა:

დაწესებულებას შემუშავებული აქვს მექანიზმი, რომლითაც უზრუნველყოფს საჭიროების შესაბამის ცვლილებას საგანმანათლებლო პროგრამაში თუ მოდულში.

დასტურდება (მტკიცებულებები):

1. სსიპ - კოლეჯ „გლდანის პროფესიული მომზადების ცენტრის“ პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის შემუშავების, დამტკიცების, მასში ცვლილების შეტანის, განხორციელების, შეფასებისა და გაუქმების მეთოდოლოგია (დამტკიცებულია დირექტორის 18.02.2020 წლის N28 ბრძანებით, ბოლო ცვლილება: N107748, 04.02.2025)

2. სსიპ - კოლეჯ გლდანის პროფესიული მომზადების ცენტრის ხარისხის განვითარების შიდა მექანიზმები და 2025- 2027 წლების სამოქმედო გეგმა (დამტკიცებულია დირექტორის 22.10.2024 წლის N177 ბრძანებით, ცვლილება -27/06/2025 – N773836);

3.დირექტორის 2020 წლის 18 თებერვლის N26 ბრძანება (ცვლილება 07.07.2025 N835168)„პროფესიულ სტუდენტთა სწავლის შედეგების შეფასების წესი“;

4.გასაუბრება

შეფასება:

☒ შეესაბამება

☐ მეტწილად შეესაბამება

☐ ნაწილობრივ შეესაბამება

☐ არ შეესაბამება

2.4 სასწავლო პროცესის ორგანიზება და პროფესიულ სტუდენტთა შეფასება

2.4.1 სასწავლო პროცესი უზრუნველყოფს სასწავლო მიზნების მიღწევას

1. პროგრამა ხორციელდება სასწავლო გეგმის/გეგმების შესაბამისად;
2. პსდ უზრუნველყოფს სასწავლო პროცესის ორგანიზებას პროფესიულ სტუდენტთა ინტერესების გათვალისწინებით და მოქნილად რეაგირებს შემხვედრ საჭიროებებზე;
3. სასწავლო პროცესი ითვალისწინებს სწავლების თანამედროვე მეთოდებისა და დარგის შესაბამისი ტექნოლოგიების გამოყენებას;
4. პროგრამით განსაზღვრული სწავლის შედეგების მიღწევისას გათვალისწინებულია პროფესიულ სტუდენტთა ინდივიდუალური საჭიროებები;

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრის ხელმოწერა:

5. პსდ-ს თანამშრომლობა პრაქტიკის კომპონენტის განმახორციელებელ პარტნიორთან/სასწავლო საწარმოსთან/თანაგანმახორციელებელ დაწესებულებასთან დასტურდება შესაბამისი ხელშეკრულებით/ურთიერთთანამშრომლობის მემორანდუმით;
6. სასწავლო პროცესი მიმდინარეობს უსაფრთხო სასწავლო/სამუშაო გარემოში, პროგრამის სპეციფიკის გათვალისწინებით.

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1.პროგრამა ხორციელდება სასწავლო გეგმის/გეგმების შესაბამისად - კოლეჯის მიერ წარმოდგენილია სასწავლო გეგმა, პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამისთვის, სადაც მოდულების სწავლების თანმიმდევრობა ლოგიკურადაა განსაზღვრული. კოლეჯის ადმინისტრაციის წარმომადგენელმა ინტერვიურებისას აღნიშნა, რომ პროგრამის სასწავლო გეგმის და საათების განაწილების შესაბამისად შემუშავდება გაკვეთილების განრიგი - ცხრილი. სასწავლო კურსების განხორციელების დაგეგმვისას დაცულია მოდულით განსაზღვრული წინაპირობები და პროფესიული სტუდენტის კვირეული დატვირთვა.

2.პსდ უზრუნველყოფს სასწავლო პროცესის ორგანიზებას პროფესიულ სტუდენტთა ინტერესების გათვალისწინებით და მოქნილად რეაგირებს შემხვედრ საჭიროებებზე - კოლეჯის სასწავლო პროცესის მარეგულირებელ წესში გაწერილია პროფესიული სტუდენტის სწავლა-სწავლებასთან დაკავშირებული ისეთი გარემოებები, როგორიცაა სტატუსის მოპოვება/შეჩერება/აღდგენა, მობილობა, სწავლის შედეგების დადასტურების, განმეორებითი შეფასებისა და გასაჩივრების, ინდივუადუალური სასწავლო გეგმით სწავლის, ფორმალური განათლების აღიარების მექანიზმები და სხვა. კოლეჯის ადმინისტრაცია იკვლევს პროფესიულ სტუდენტთა საჭიროებებს და რეაგირებს მათზე.

3.სასწავლო პროცესი ითვალისწინებს სწავლების თანამედროვე მეთოდებისა და დარგის შესაბამისი ტექნოლოგიების გამოყენებას - იმის გათვალისწინებით, რომ პროგრამა ხორციელდება დუალური მიდგომით ორ პარტნიორ კომპანიაზე დაფუძნებით, პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამა სრულად ეფუძნება ჩარჩო დოკუმენტში განსაზღვრულ სწავლების მეთოდებსა და შესაბამის დარგობრივ ტექნოლოგიებს.
პროგრამას გააჩნია ადაპტირებული მოდულები, მათ შორის სწავლებისა და შეფასების კომპონენტში. ექსპერტების ვიზიტისას შემოწმდა A/B ტიპის სასწავლო გარემოს მატერიალურ-ტექნიკური უზრუნველყოფა (სტუდენტებისთვის განკუთვნილი კომპიუტერები), ასევე მომზადებული იყო მეთოდოლოგიური და სადემონსტრაციო რესურსები. გარდა ამისა, პარტნიორი კომპანიები, რომელთა ბაზაზეც იგეგმება სწავლება, აღჭურვილია თანამედროვე ტექნოლოგიებით, რაც დადასტურებულია დარგის ექსპერტის შეფასებით.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრის ხელმოწერა:

შესაბამისად, ვიზიტის დროს დადასტურდა, რომ როგორც კოლეჯში, ისე საწარმოების ბაზაზე წარმოდგენილი მატერიალურ-ტექნიკური რესურსი შეესაბამება დარგში მიმდინარე ტექნოლოგიურ სტანდარტებს და მათი გამოყენება სრულად შესაძლებელია სწავლების თანამედროვე მეთოდოლოგიების ფარგლებში.

ინტერვიუების დროს პროფესიული განათლების მასწავლებლებმა ასევე აღნიშნეს, რომ ისინი მუდმივად ზრუნავენ დარგობრივ სიახლეებზე მოძიებაზე იყენებენ სხვადასხვა გზებს, რათა ეს ინფორმაცია ინტეგრირდეს სწავლების პროცესში.

4.პროგრამით განსაზღვრული სწავლის შედეგების მიღწევისას გათვალისწინებულია პროფესიულ სტუდენტთა ინდივიდუალური საჭიროებები - სასწავლო პროცესის მარეგულირებელი წესი განსაზღვრავს ინდივიდუალური სასწავლო გეგმის შემუშავებას, რომელიც მორგებულია სტუდენტთა ინდივიდუალურ საჭიროებებზე. წესის მიხედვით ინდივიდუალური სასწავლო გეგმის შემუშავების საჭიროება შესაძლებელია დადგეს თუ: მობილობით გადმოსულ პირს დადასტურებული აქვს განსხვავებული სწავლის შედეგები, პირს შეჩერებული ჰქონდა პროფესიული სტუდენტის სტატუსი და საჭიროებს სასწავლო პროცესში ჩართვას, პირი დაგვიანებით შემოუერთდა სასწავლო პროცესს და საჭიროებს სასწავლო პროცესში ჩართვას, განხორციელდა პროგრამის შეცვლა / გაუქმება და საჭირო პროფესიული სტუდენტებისთვის მიღებული განათლების აღიარება და ინდივიდუალური სასწავლო გეგმით სწავლის. გაგრძელება შეცვლილ/მონათესავე/სხვა პროგრამაზე.

5.პსდ-ს თანამშრომლობა პრაქტიკის კომპონენტის განმახორციელებელ პარტნიორთან/სასწავლო საწარმოსთან/თანაგანმახორციელებელ დაწესებულებასთან დასტურდება შესაბამისი ხელშეკრულებით/ურთიერთთანამშრომლობის მემორანდუმით - პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამა განხორციელდება დუალური მიდგომით, ორი პარტნიორი სასწავლო საწარმოს ჩართულობით. აღნიშნული თანამშრომლობა რეგულირდება შესაბამისი ხელშეკრულებით, სადაც გაწერილია ყველა ის ინფორმაცია როგორიცაა სასწავლო პროცესის დაგეგმვა, წარმართვას, შეფასება სასწავლო გეგმის შესაბამისად და სხვა.

6.სასწავლო პროცესი მიმდინარეობს უსაფრთხო სასწავლო/სამუშაო გარემოში, პროგრამის სპეციფიკის გათვალისწინებით - გამომდინარე იქედან რომ დაწესებულების ბაზაზე მხოლოდ თეორიული სწავლის შედეგები დაიფარება ზოგად მოდულებთან ერთად, დარგის შესაბამისი სპეციფიკური უსაფრთხოების უზრუნველყოფა არ არის პროგრამით გათვალისწინებული, თუმცა სტუდენტებისათვის უზრუნველყოფილია უსაფრთხო სასწავლო გარემო. ხოლო, პარტნიორი ორგანიზაციების ბაზაზე დასტურდება რომ პრაქტიკული სწავლება განხორცილედება შესაბამისის უსაფრთხოების

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრის ხელმოწერა:

ზომების დაცვით, პროფესიული სტუდენტებისათვის საჭირებისამებრ უზრუნველყოფილი იქნება შესაბამისის უსაფრთხოების დაცვის საშუალებები და აღჭურვილობა, რომელიც ასევე შეთანხმებულია კოლეჯსა და სასწავლო საწარმოს შორის გაფორმებული ურთიერთთანამშრომლობის ხელშეკრულებით.

დასტურდება (მტკიცებულებები):

1. სსიპ - კოლეჯ „გლდანის პროფესიული მომზადების ცენტრის“ სასწავლო პროცესის მარეგულირებელი წესი (დამტკიცებულია დირექტორის 08.08.2019 წლის N62 ბრძანებით, ბოლო ცვლილება: N107743, 04.02.2025)

2. სსიპ - კოლეჯ "გლდანის პროფესიული მომზადების ცენტრის" ხარისხის განვითარების შიდა მექანიზმებისა და 2025-2027 წლების ხარისხის მართვის სამოქმდო გეგმა (დამტკიცებულია დირექტორის 22.10.2024 წლის N177 - ცვლილება 27/06/2025 – N773836)

3. სსიპ - კოლეჯ „გლდანის პროფესიული მომზადების ცენტრში“ ინდივიდუალური სასწავლო გეგმის შემუშავების წესი (დამტკიცებულია დირექტორის 26.06.2018 წლის N58, ბოლო ცვლილება: 26.03.2024, N58)

4. სსიპ - კოლეჯ „გლდანის პროფესიული მომზადების ცენტრში“ პროფესიული ჯანმრთელობისა და შრომის უსაფრთხოების თანმიმდევრული პრევენციული ღონისძიებების პოლიტიკა (დამტკიცებულია დირექტორის 18.12.2020 წლის N185, ბოლო ცვლილება: 17.07.2024, N140) პარტნიორ კომპანიებთან გაფორმებული ხელშეკრულებები.

5. კოლეჯის გლდანის მომზადების პროფესიული ცენტრის დირექტორის მ.შ მიერ 2018 წლის 2 მაისის N30 ბრძანებით (ცვლილება - 16/06/2025 N671929) შემუშავებულია პროფესიული განათლების მასწავლებლისა და პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის ხელმძღვანელის შერჩევის წესი;

6. პსდ დირექტორის მ.შ. მიერ 13/06/2025 N665295 ბრძანებით „პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის გათბობის, ჰაერის კონდიცირებისა და სამაცივრო სისტემების მომსახურება, ხელმძღვანელად, პროფესიული განათლების მასწავლებლის დანიშვნის თაობაზე“

7. გასაუბრება

2.4.2 შეფასების სისტემა უზრუნველყოფს პროგრამის სწავლის შედეგების დადასტურებას

1. პროგრამის მიზნებისთვის გამოყენებული შეფასების სისტემა არის ვალიდური, სანდო, გამჭვირვალე, სამართლიანი, ობიექტური;
2. პროფესიულ სტუდენტთა შეფასების სისტემა ითვალისწინებს ვერიფიკაციის მექანიზმს;
3. პსდ უზრუნველყოფს შეფასებასთან დაკავშირებული მონაცემების/ინფორმაციის/მტკიცებულებების სათანადო აღრიცხვასა და შენახვას შეფასების უწყისის გაფორმებიდან 3 წლის ვადით;

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრის ხელმოწერა:

4. პროფესიულ სტუდენტთა შეფასების შედეგები გამოყენებულია მათი შემდგომი განვითარებისათვის.

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1.პროგრამის მიზნებისთვის გამოყენებული შეფასების სისტემა არის ვალიდური, სანდო, გამჭვირვალე, სამართლიანი, ობიექტური - დაწესებულებას დირექტორის 2020 წლის 18 თებერვლის N26 ბრძანებით დამტკიცებული აქვს „პროფესიულ სტუდენტთა სწავლის შედეგების შეფასების წესი (ცვლილება - 07/07/2025 – N835168)“, რომლის მე-3 მუხლის მიხედვით პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის შემუშავების პროცესში ჩართული პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის ხელმძღვანელი და პროფესიული განათლების მასწავლებელი/ები მოდულის ადაპტირებისას შეფასების მიმართულების მიხედვით არჩევენ შესაბამის შეფასების ინსტრუმენტს. ხოლო 11-ე მუხლის მიხედვით შეფასების ინსტრუმენტის შექმნის ვალდებულება აქვს მოდულის განმახორციელებელ პირს (პირებს). აღნიშნული წესის მე-4 მუხლის მიხედვით შეფასება ეფუძნება ვალიდურობის, სანდოობის, გამჭვირვალობის, სამართლიანობის და ობიექტურობის პრინციპებს. აღნიშნული პრინციპების გათვალისწინებით დაწესებულებას შემუშავებული აქვს შეფასების ინსტრუმენტის ფორმა. ამავე წესის მე-5 მუხლის მიხედვით, სწავლის შედეგების დადასტურებასთან დაკავშირებით იკრიბება მუდმივმოქმედი კომისია. კომისია იკრიბება შესაბამისი პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის სასწავლო ჯგუფის მიერ კონკრეტული მოდულის/სწავლის შედეგის/დამატებითი სწავლის შედეგ(ებ)ის დადასტურების დასრულებისას, ამ წესით განსაზღვრული პირობების მონიტორინგის მიზნით. დაწესებულების განმარტებით აღნიშნული კომისიის მიზანია შეფასების პროცესის მონიტორინგი. „პროფესიულ სტუდენტთა სწავლის შედეგების შეფასების წესის“ მე-9 მუხლის მიხედვით, „განმსაზღვრელი შეფასებისას, უარყოფითი შედეგის მიღების შემთხვევაში, პროფესიულ სტუდენტს წერილობითი განცხადების საფუძველზე უფლება აქვს, მოითხოვოს სწავლის შედეგების მიღწევის დამატებითი შეფასება. სასწავლო პროცესზე პასუხისმგებელი პირი (მაგ. სასწავლო პროცესის მენეჯერი, ან სხვა) პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების სპეციფიკის გათვალისწინებით, უფლებამოსილნი არის განსაზღვროს დამატებითი (განმეორებითი) შეფასების ვადები.“ დირექტორის 2019 წლის 8 აგვისტოს N62 ბრძანებით დამტკიცებული „სასწავლო პროცესის მარეგულირებელი წესის (ცვლილება-27/06/2025-N77024)“ მე-14 მუხლით განსაზღვრულია, რომ განმეორებითი შეფასების მოთხოვნა სტუდენტს შეუძლია ერთხელ. ხოლო თუ მოდული სხვა მოდულზე დაშვების წინაპირობაა, პროფესიული სტუდენტი ვალდებულია სასწავლო გეგმით განსაზღვრულ ვადებში დაადასტუროს წინმსწრები მოდულის დაუდასტურებელი სწავლის შედეგი/შედეგები. „პროფესიულ სტუდენტთა სწავლის შედეგების შეფასების წესის“ 7-ე მუხლი მოიცავას ასევე ინფორმაციას კომპეტენციაზე დაფუძნებული შფასების შესახებ, ხოლო სასწავლო პროცესის მარეგულირებელი წესი 14 -ე მუხლით დუალური მიდგომით განხორციელებუი პროგრამების ფარგლებში შეფასების პროცესის დაგეგმვა და წარმართვაა რეგულირებული. ექსპერტების მიერ დასტურდება აღნიშნული მექანიზმების შესაბამისობა.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრის ხელმოწერა:

2.პროფესიულ სტუდენტთა შეფასების სისტემა ითვალისწინებს ვერიფიკაციის მექანიზმს - კოლეჯში დანერგილია პროფესიული სტუდენტების შეფასების სისტემის ვერიფიკაცია. კოლეჯის ხარისხის მართვის მენეჯერი, ხარისხის მართვის სამოქმედო გეგმის ფარგლებში განსაზღვრავს კონკრეტული პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის/პროგრამების სწავლის შედეგების ვერიფიცირების პერიოდს. ხარისხის მართვის მენეჯერის მიერ შერჩეული პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის/პროგრამების სწავლის შედეგების შიდა ვერიფიკაციის განხორციელებისათვის კოლეჯის დირექტორის ინდივიდუალური ადმინისტრაციული-სამართლებრივი აქტით იქმნება შიდა ვერიფიკაციის ჯგუფი, რომლის შემადგენლობაში შედიან ხარისხის მართვის მენეჯერი და შესაბამისი დარგის სპეციალისტ(ებ)ი/კომპეტენციის მქონე პირები.

3.პსდ უზრუნველყოფს შეფასებასთან დაკავშირებული მონაცემების/ინფორმაციის/მტკიცებულებების სათანადო აღრიცხვასა და შენახვას შეფასების უწყისის გაფორმებიდან 3 წლის ვადით - კოლეჯი უზრუნველყოფს შეფასებასთან დაკავშირებული მონაცემების / ინფორმაციის / მტკიცებულებების სათანადო აღრიცხვასა და შენახვას: პროფესიული სტუდენტის მიერ დადასტურებული სწავლის შედეგები პროფესიულ სტუდენტთა სწავლის შედეგების დადასტურების მუდმივმოქმედი კომისიის მიერ ფორმდება შესაბამისი ოქმითა და უწყისით. პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების ფარგლებში შექმნილი მტკიცებულებები კოლეჯში დაცულია და ინახება შეფასების უწყისის გაფორმებიდან 3 წლის ვადით, ხოლო უწყისები სწავლის შედეგების მიღწევის შესახებ გადაეცემა არქივს და ინახება მუდმივად.

4.პროფესიულ სტუდენტთა შეფასების შედეგები გამოყენებულია მათი შემდგომი განვითარებისათვის - დაწესებულებაში ფუნქციონირებს პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების განხორციელების მონიტორინგის ჯგუფი, რომელიც პერიოდულად ესწრება როგორც მეცადინეობებს, ისე შედეგების დადასტურებებს.აღნიშნული ჯგუფი აკვირდება სწავლებისა და პროცესებს, აანალიზებს და შეიმუშავებს რეკომენდაციებს. აღნიშნულის გათვალისწინებით, კოლეჯი ახორციელებს პროფესიულ სტუდენტთა შეფასების სტატისტიკური მონაცემების (სწავლის შედეგის დადასტურების/ვერდადასტურების მაჩვენებლები) განხილვას/ანალიზს კონკრეტული პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის ფარგლებში და იყენებს მათ პროგრამის შემდგომი განვითარებისა და სწავლების ხარისხის მონიტორინგის მიზნებისათვის.

დასტურდება (მტკიცებულებები):

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრის ხელმოწერა:

1. სსიპ - კოლეჯ „გლდანის პროფესიული მომზადების ცენტრში“ პროფესიულ სტუდენტთა სწავლის შედეგების შეფასების წესი (დამტკიცებულია დირექტორის 2020 წლის 18 თებერვლის N26 ბრძანებით, ბოლო ცვლილება: N1835168, 07.07.2025 წ.)

2. სსიპ - კოლეჯ „გლდანის პროფესიული მომზადების ცენტრის“ სასწავლო პროცესის მარეგულირებელი წესი (დამტკიცებულია დირექტორის 08.08.2019 წლის N62 ბრძანებით, ბოლო ცვლილება: N107743, 04.02.2025)

3. პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის სასწავლო გეგმა,მოდულები;

4.გასაუბრება

შეფასება

- ☒ შეესაბამება
- ☐ მეტწილად შეესაბამება
- ☐ ნაწილობრივ შეესაბამება
- ☐ არ შეესაბამება

ნაწილი V. თანდართული დოკუმენტაცია

დანართი:

1. ვიზიტის დღის წესრიგი

თარიღი: 13.08.2025

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრის ხელმოწერა: